



საქართველოს ზრუნვის
ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის
სამინისტრო

მეორე ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის
(სამკურნალო საშუალების) ფორმა №3

**ელექტრონული რეცეპტის რეალიზაციის (გაცემის) დეტალური
ინსტრუქცია ფარმაცევტებისთვის**

იმისათვის, რომ ფარმაცევტულმა დაწესებულებამ, შეძლოს ელექტრონული რეცეპტების მომსახურება (რეალიზება), ის უნდა დარეგისტრირდეს ელექტრონული რეცეპტების სისტემაში.

ამისთვის საჭიროა ავთიაქის საიდენტიფიკაციო კოდი (ან პირად ნომერი ინდემწარმის შემთხვევაში) და პინ კოდი, რომელიც ფარმაცევტულს მიენიჭათ მათი ფარდაწესებულების მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის შედეგად. აღნიშნული ინფორმაცია ჩვეულებრივ იგზავნება ბაზაში თქვენს მიერ დაფიქსირებულ საკონტაქტო მეილზე.

თუ თქვენ ვერ მოიძიეთ პინკოდი, მაშინ უნდა მიმართოთ რეგულირების სააგენტოს შესაბამის სამსახურს, რისთვისაც მეილზე pharmacy-noreply@moh.gov.ge უნდა გაგზავნოთ თქვენი პინკოდის და ოთხნიშნა დამატებითი კოდის მოთხოვნა; მიუთითეთ თქვენი საიდენტიფიკაციო კოდი, დასახელება, მისამართი, ნებართვის ნომერი.

ყველა საჭირო მონაცემის მოპოვების შემდეგ შედით მისამართზე: eprescription.moh.gov.ge, გამოსულ ფანჯარაში აირჩიეთ ფარმაცევტი და დააჭირეთ რეგისტრაციას, გამოსულ ფორმაში შეიტანეთ საიდენტიფიკაციო კოდი (ან პირად ნომერი ინდემწარმის შემთხვევაში), შემდეგ - პინ კოდი. თუ ამ მონაცემთა წყვილი ვალიდურია, გამოდის შემდეგი ფანჯარა, სადაც ყურადღება უნდა მიაქციოთ შემოთავაზებულ ოთხნიშნა კოდს (რომელიც პინკოდის მსგავსად გაქვთ მიღებული). თუ თქვენი საიდენტიფიკაციო კოდი და აღნიშნული ოთხნიშნა კოდი წყვილში უნიკალურია, მაშინ თქვენ მოგენიჭებათ მომხმარებლის სახელი შემდეგი ფორმატით: თქვენი საიდენტიფიკაციო კოდი, დამატებული სიმბოლო „ქვედა ხაზი“(_) და დამატებული ოთხნიშნა კოდი. მაგალითად, თუ თქვენი საიდენტიფიკაციო კოდია 123456789, ხოლო ოთხნიშნა კოდია 0002, მაშინ მომხმარებლის სახელი იქნება 123456789_0002. პაროლი იქნება თქვენს მიერ ამავე ფორმაში სათანადო გრაფაში მითითებული პაროლი (გირჩევთ არანაკლებ 8 სიმბოლოს).

გირჩევთ არ შეცვალოთ მითითებული ოთხნიშნა კოდი, რადგან ის უმრავლეს შემთხვევებში უნიკალურია და დაფიქსირებულია ფარმაცევტულს რეგისტრაციის ბაზაში.

თუ სისტემა შეგატყობინებთ, რომ ასეთი ოთხნიშნა კოდი რაიმე მიზეზით უკვე არსებობს (რაზედაც შესაბამისი ველის თავზე წითლად გამოვა სათანადო შეტყობინება), მაშინ თქვენ თვითონ უნდა შეარჩიოთ ოთხნიშნა კოდის ახალი ვარიანტი, შეიტანოთ ის იმავე ველში და კვლავ გადაამოწმოთ მისი უნიკალობა (ამ ველიდან გამოსვლა გამოიწვევს მითითებული კოდის გადამოწმებას). საბოლოოდ შეირჩევა ვალიდური კოდი და ჩამოყალიბდება მომხმარებლის სახელი ზემოთ მითითებული წესით.

ყველა ამ პრობლის შესრულების შემდეგ რეგისტრაცია წარმატებით დასრულდება.

ამის შემდეგ შეგიძლიათ გაიაროთ ავტორიზაცია მინიჭებული მომხმარებლის სახელითა და პაროლით.

1. სისტემაში შესვლა

ელექტრონული რეცეპტის სისტემაში ჩართვის მიზნით, ფარმაცევტი შედის ელექტრონული რეცეპტის ვებ გვერდზე- <http://eprescription.moh.gov.ge/login.php>

შესვლისთანავე გამოჩნდება ინტერფეისი წარწერით „სისტემაში შესვლა“ რომელიც დაყოფილია ექიმის, ფარმაცევტისა და პაციენტის ნაწილებად (იხილეთ ნიმუში 1).

ნიმუში 1: სისტემაში შესვლა: ინტერფეისი

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

MINISTRY OF LABOUR HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

სისტემაში შესვლა

ექიმი ფარმაცევტი პაციენტი

ფარმაცევტის მოდული

მომხმარებელი


პაროლი

ამტორიზაცია

მომხმარებელი აჭერს ღილაკს „ფარმაცევტი“. შეჰყავს მისთვის წინასწარ მინიჭებული მომხმარებლის სახელი და პაროლი და აჭერს ღილაკს „ავტორიზაცია“. სააფთიაქო დაწესებულებისათვის მომხმარებლის სახელისა და პაროლის მინიჭება ხდება საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, სააფთიაქო დაწესებულების უფლებამოსილი პირის მომართვის საფუძველზე.

მონაცემების სისწორის შემთხვევაში მომხმარებელი აღმოჩნდება ელექტრონული რეცეპტების სისტემაში, სადაც გამოტანილია მხოლოდ მთავარი მენიუ და ზედა მარცხენა კუთხეში ჩანს მომხმარებლის პირადი მონაცემები. პირად მონაცემებზე დაჭერით ჩამოიშლება მენიუ, რომლიდანაც ფარმაცევტს შეუძლია პაროლის შეცვლა და სისტემიდან გამოსვლა (იხილეთ ნიმუში 3).


ნიმუში 2: სისტემაში შესვლა, ინტერფეისი



2. რეცეპტები

პაციენტის რეცეპტის სანახავად ფარმაცევტმა პირველ რიგში უნდა მოახდინოს პაციენტის იდენტიფიცირება. ამისათვის იგი მთავარ მენიუში აჭერს ღილაკს „რეცეპტები“. გამოჩნდება პაციენტის იდენტიფიცირებისათვის საჭირო ველები (იხილეთ ნიმუში 3 და 4). პაციენტის ძებნა შესაძლებელია მხოლოდ მისი პირადი ნომრით.

ნიმუში 3: რეცეპტები, პაციენტის იდენტიფიცირება



პირადი ნომრის სწორად შეყვანის შემდეგ სისტემა ავტომატურად გვიჩვენებს მომხმარებლის სახელს, გვარსა და დაბადების თარიღს. ფარმაცევტს უფლება აქვს პაციენტთან (ან მისი ნდობით აღჭურვილ პირთან) გადაამოწმოს ნებისმიერი პერსონალური მონაცემი (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი), იმისათვის რომ დარწმუნდეს პიროვნების ნამდვილობაში.

პიროვნების იდენტიფიცირების შემდეგ ფარმაცევტი ეძებს პაციენტის მიერ მითითებულ რეცეპტს. რეცეპტის შესახებ სისტემა იძლევა შემდეგ მახასიათებლებს:

1. რეცეპტის ნომერი
2. გამოწერის თარიღი

3. მოქმედებს ვადა
4. მედიკამენტის დასახელება
5. გამოწერის ფორმა (მხოლოდ გენერიკი, მხოლოდ სავაჭრო, გენერიკი და სავაჭრო)
6. ფარმაკოლოგიური ჯგუფი
7. ჯგუფი და გაცემის რეჟიმი
8. შესაზღვრელია თუ არა დოზის ცვლილება (თუ მოცემულ მახასიათებელში მცირე ზომის მოსანიშნი უჯრა მონიშნულია, ეს ნიშნავს რომ დოზის ცვლილება შესაძლებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში ფარმაცევტს უფლება არ აქვს პაციენტს შესთავაზოს სხვა დოზის მედიკამენტი)
9. გამოწერილი რაოდენობა
10. რეალიზებული რაოდენობა
11. სტატუსი (ჯერ კიდევ აქტიურია რეცეპტი, სრულად რეალიზებული თუ ვადაგასული)
12. პაციენტის პირადი ნომერი
13. პაციენტის დაბადების თარიღი
14. პაციენტის სახელი და გვარი

პაციენტის რეცეპტების დალაგება (სორტირება) შესაძლებელია ნებისმიერი ზემოთ ჩამოთვლილი მახასიათებლების მიხედვით.

პაციენტის მიერ მითითებული რეცეპტის იდენტიფიცირების შემდეგ, ფარმაცევტი აჭერს აღნიშნულ რეცეპტს, რის შედეგადაც ჩნდება რეალიზაციის ფანჯარა (იხილეთ ნიმუში 5).

რეალიზაციის ფანჯარაში მოცემულია გამოწერილი მედიკამენტის დასახელება, მინიშნებულია მედიკამენტის ჩანაცვლების შესაძლებლობა (ეწერება „კი“ ან „არა“), გამოწერის ფორმა (მხოლოდ გენერიკით, გენერიკი და სავაჭრო, მხოლოდ სავაჭრო). თუ მოცემულ გრაფაში წერია „გენერიკი და სავაჭრო“ ან „მხოლოდ სავაჭრო“ ეს ნიშნავს რომ მედიკამენტის ჩანაცვლება დაუშვებელია.

ნიმუში 4: რეცეპტები, პაციენტისა და რეცეპტის იდენტიფიცირება

რეცეპტის ნომ.	გამოწერის თარიღი	ვადა	მედიკამენტი	გამოწერილი რაოდ.	ნარჩენი რაოდ.	სტატუსი	გამოწერის ფორმა	შესაძლებელია ჩანაცვლება	მიღების წესი	ფარმაკოლოგიური ჯგუფი	ჩვეულებრივი რეცეპტი
F3E10000042624	2017-12-18	2017-12-23	Amoxicillin / Amoxicillin / 250 მგ კაფსულა N100 /	5	5	აქტიური	მხოლოდ გენერიკი	☒	5	ბეტა-ლactამური ანტიბიოტიკი მენიცილინების ჯგუფიდან	☒ ჩვეულებრივი რეცეპტი
F3E10000042617	2017-12-18	2017-12-23	Amoxicillin / Amoxicillin / 12.5მგ/5მლ 60 მლ კეროლაური სუსპენზიის მისამზადებელი ფხვნილი ფლაკონი N1 სპონში კოვჩით /	5	5	აქტიური	მხოლოდ გენერიკი	☒	5	ბეტა-ლactამური ანტიბიოტიკი მენიცილინების ჯგუფიდან	☒ ჩვეულებრივი რეცეპტი
F3E10000042618	2017-12-18	2018-01-15	Amoxicillin / Amoxicillin / 12.5მგ/5მლ 60 მლ კეროლაური სუსპენზიის მისამზადებელი ფხვნილი ფლაკონი N1 სპონში კოვჩით /	14	14	აქტიური	მხოლოდ გენერიკი	☒	დღეში 2-ჯერ 7-დღის მუდგ	ბეტა-ლactამური ანტიბიოტიკი მენიცილინების ჯგუფიდან	☒ ჩვეულებრივი რეცეპტი

ნიმუში 5: რეცეპტები, რეალიზაცია

რეალიზაცია ✕

გამონერლი მედიკამენტი	<input style="width: 100%;" type="text" value="Amoxycillin / Amoxycillin / 250 მგ კაფსულა N100 /"/>	
შესაძლებელია ჩანაცვლება	<input style="width: 100%;" type="text" value="კი"/>	
გამონერის ფორმა	<input style="width: 100%;" type="text" value="მხოლოდ გენერიკი"/>	
გასაცემი მედიკამენტი	<input style="width: 100%;" type="text"/>	
	<input style="background-color: #2e8b57; color: white; padding: 2px 10px;" type="button" value="აირჩიეთ"/>	
ნარჩენი რაოდენობა	<input style="width: 100%;" type="text" value="5"/>	
გასაცემი რაოდენობა	<input style="width: 100%;" type="text"/>	
გამონერლი ფარმაცევტული კოდექსის შესაბამისი რეალიზებულ რაოდენობა	<input style="width: 100%;" type="text"/>	
დაზუსტებული მიღების წესი	<input style="width: 100%;" type="text"/>	
<input checked="" type="checkbox"/> ფარმპროდუქტის მიმღები		
პირადი ნომერი	დაბ. თარიღი	სახელი და გვარი
<input style="width: 100%;" type="text"/>	<input style="width: 100%;" type="text"/>	<input style="width: 100%;" type="text"/>
<input style="background-color: #2e8b57; color: white; padding: 5px 20px;" type="button" value="დადასტურება"/>		

გასაცემი მედიკამენტის სტრიქონში ფარმაცევტი აჭერს ღილაკს „არჩევა“, რათა მოძებნოს გამოწერილი მედიკამენტი ან ჩანაცვლოს იგი სხვა, მსგავსი ფარმაცოლოგიური თვისებების მქონე სამკურნალო საშუალებით. ღილაკზე „აირჩიეთ“ დაჭერით, ფარმაცევტი გადაამისამართდება მედიკამენტის საძიებელში.

გამოდის მედიკამენტის ასარჩევი ფანჯარა (იხილეთ ნიმუში 7). მედიკამენტის შესახებ მონაცემები მოცემულია შემდეგი სტრუქტურით:

1. სავაჭრო დასახელება ქართულად
2. სავაჭრო დასახელება ინგლისურად,
3. საერთაშორისო არაპატენტირებული დასახელება ანუ გენერიკი,
4. ფორმა
5. აქტიური ნივთიერების სახელი ინგლისურად,

6. ფარმაკოლოგიური ჯგუფი,
7. პროდუქტის დეტალური აღწერილობა ქართულად
8. პროდუქტის დეტალური აღწერილობა ინგლისურად
9. პროდუქტის სახეობა, ანუ ტიპი
10. ATC კოდი
11. ჯგუფი და გაცემის რეჟიმი
12. მწარმოებელი
13. მწარმოებელი ქვეყანა
14. რეგისტრაციის ვადა
15. გაუქმების მიზეზი

სასურველი მედიკამენტის ასარჩევად ფარმაცევტი დგება საძიებო ველში და კრეფს მედიკამენტის სახელს ქართულ ან ინგლისურ ენაზე. პროგრამა ეძებს ფარმაცევტის მიერ აკრებილ სიტყვას სავაჭრო დასახელებაში, გენერიკის დასახელებაში და აქტიურ ნივთიერებებში. ექიმი დააჭერს მოძებნილი მედიკამენტებიდან სასურველს, რის შედეგადაც მოინიშნება მოცემული სტრიქონი და აჭერს ღილაკს „დადასტურება“ („დადასტურების“ ღილაკი იხილეთ ნიმუშზე 6). შედეგად ფარმაცევტის მიერ მითითებული მედიკამენტი აღმოჩნდება რეალიზაციის ფანჯარაში (იხილეთ ნიმუში 7).

რეალიზაციის ფანჯარაში მითითებულია ექიმის მიერ გამოწერილი მედიკამენტის ნარჩენი რაოდენობა. ფარმაცევტი „გასაცემ რაოდენობაში“ უთითებს თუ რა რაოდენობით უნდა გასცეს მის მიერ არჩეული მედიკამენტი, ხოლო სტრიქონში, „გამოწერილი ფარმაცევტული პროდუქტის შესაბამისი რეალიზებულ რაოდენობა“, მიუთითებს გასაცემი მედიკამენტის რაოდენობა, გამოწერილი მედიკამენტის რა რაოდენობას შეესაბამება.

ნიმუში 6: რეცეპტები: მედიკამენტის საძიებელი

აირჩიეთ მედიკამენტი
✕

სავაჭრო დასახელება(ქართ)	სავაჭრო დასახელება(ინგ)	საერთ. არაპატენტ. დასახელება (გენერიკი)	აქტიური ნივთიერებები ინგლისურად	ფარმაკოლოგიური ჯგუფი
ფურამოქი	DURAMOX	Amoxycillin	Amoxycillin	ბება - ლაქტამური ანტიბიოტიკი პენიცილინების ჯგუფიდან
ფურამოქი	DURAMOX	Amoxycillin	Amoxycillin	ბება - ლაქტამური ანტიბიოტიკი პენიცილინების ჯგუფიდან
ფურამოქი 250	DURAMOX 250	Amoxycillin	Amoxycillin	ბება - ლაქტამური ანტიბიოტიკი პენიცილინების ჯგუფიდან
ფურამოქი 500	DURAMOX 500	Amoxycillin	Amoxycillin	ბება - ლაქტამური ანტიბიოტიკი პენიცილინების ჯგუფიდან

მაგალითად, ექიმმა გამოწერა Amoxycilin, იგივე დურამოქსი 500 მგ, 28 კაფსულა. პაციენტი მივიდა აფთიაქში და მოითხოვა ზემოთ აღნიშნული მედიკამენტი მხოლოდ 4 ცალი. ფარმაცევტმა ვერ მოიძია 500მგ-იანი დურამოქსი, თუმცა აღმოაჩინა რომ 250 მგ-იანი კაფსულები ჰქონდათ აფთიაქში. ამიტომ მან შესთავაზა პაციენტს რომ 500 მგ-იანი დურამოქსის ნაცვლად მისცემდა 250 მგ-იანს, თუმცა 4 ცალის ნაცვლას 8 ცალს, რაზეც პაციენტი დაეთანხმა. ამიტომ ფარმაცევტმა გრაფაში „გასაცემი მედიკამენტი“, 500მგ-იანი დურამოქსის ნაცვლად აირჩია 250მგ-იანი დურამოქსი, „გასაცემ რაოდენობაში“ მიუთითებს „8“-ს, და სტრიქონში „გამოწერილი ფარმაცევტული პროდუქტის შესაბამისი რეალიზებული რაოდენობა“ მიუთითებს „4“-ს (ვინაიდან 8 ცალი 250 მგ-იანი დურამოქსი იგივეა რაც 4 ცალი 500 მგ-იანი დურამოქსი) (იხილეთ ნიმუში 8).

ნიმუში 7: რეცეპტები: რეალიზაცია

რეალიზაცია ×

გამოწერილი მედიკამენტი	Amoxycilin / Amoxycilin / 250 მგ კაფსულა N100 /
შესაძლებელია ჩანაცვლება	კი
გამოწერის ფორმა	მხოლოდ გენერიკი
გასაცემი მედიკამენტი	Amoxycilin / დურამოქსი 500 / Amoxycilin / 500 მგ კაფსულა N100
	აირჩიეთ
ნარჩენი რაოდენობა	5
გასაცემი რაოდენობა	1
გამოწერილი ფარმაცევტული პროდუქტის შესაბამისი რეალიზებული რაოდენობა	2
დამუსტებული მიღების წესი	ნახევარი აბი 2 ჯერ დღეში
ფარმპროდუქტის მიმღები <input checked="" type="checkbox"/>	<div style="display: flex; justify-content: space-between;"> <div style="text-align: center;">პირადი ნომერი <input type="text"/></div> <div style="text-align: center;">დაბ. თარიღი <input type="text"/></div> <div style="text-align: center;">სახელი და გვარი <input type="text"/></div> </div>
	დადასტურება

ზემოთ აღწერილი შემთხვევის მსგავსად, როდესაც ფარმაცევტი ცვლის გამოწერილი მედიკამენტის დოზას ან დასახელებას, იგი ვალდებულია პაციენტს აუხსნას შემცვლელი მედიკამენტის მიღების წესი და წერილობით მიუთითოს იგი „დაზუსტებული მიღების წესის“ გრაფაში.

მოცემულ შემთხვევაში ფარმაცევტი პაციენტს აუხსნის რომ მან ექიმის მიერ მითითებული 1 კაფსულის ნაცვლად უნდა მიიღოს 2 ცალი 250 მგ-იანი კაფსულა ერთდროულად. ასევე „დაზუსტებული მიღების წესის“ ველში ჩაწერს: „მიიღეთ 2 კაფსულა ერთდროულად. დღეში 1-ჯერ ჭამის შემდეგ“ (იხილეთ ნიმუში 8).

ნიმუში 8: რეცეპტები: რეალიზაცია

რეალიზაცია ✕

გამოწერილი მედიკამენტი	<input style="width: 100%;" type="text" value="Amoxicillin / Amoxicillin / 500 მგ კაფსულა N100 /"/>
შესაძლებელია ჩანაცვლება	<input style="width: 100%;" type="text" value="კი"/>
გამოწერის ფორმა	<input style="width: 100%;" type="text" value="მხოლოდ გენერიკი"/>
გასაცემი მედიკამენტი	<input style="width: 100%;" type="text" value="Amoxicillin / დურამოქსი 250 / Amoxicillin / 250 მგ კაფსულა N100"/>
	<input style="width: 100px; background-color: #2e8b57; color: white;" type="button" value="აირჩიეთ"/>
ნარჩენი რაოდენობა	<input style="width: 100%;" type="text" value="28"/>
გასაცემი რაოდენობა	<input style="width: 100%;" type="text" value="8"/>
გამოწერილი ფარმაცევტული პროდუქტის შესაბამისი რეალიზებულ რაოდენობა	<input style="width: 100%;" type="text" value="4"/>
დაზუსტებული მიღების წესი	<input style="width: 100%;" type="text" value="მიიღეთ 2 კაფსულა ერთდროულად. დღეში 1-ჯერ ჭამის შემდეგ"/>
	<input checked="" type="checkbox"/> ფარმპროდუქტის მიმღები
	პირადი ნომერი <input style="width: 100px;" type="text"/>
	დაბ. თარიღი <input style="width: 100px;" type="text"/>
	სახელი და გვარი <input style="width: 100px;" type="text"/>

იმ შემტხვევაში როდესაც რეცეპტის რეალიზაციას ითხოვს არა პაციენტი, ვის სახელზეც არის გამოწერილი რეცეპტი, არამედ სხვა პირი, ფარმაცევტი ვალდებულია მონიშნოს „ფარმაცევტული პროდუქტის მიმღები“-ს მცირე ზომის მოსანიშნი უჯრა, რის შედეგადაც გამოვა პირადი ნომრის, დაბადების ტარილისა და სახელისა და გვარის ცასაწერი უჯრები, რომლებიც უნდა შეივსოს მედიკამენტის უშუალოდ წამრების პერსონალური მონაცემებით.

ზემოთ აღწერილი პროცედურის შემდეგ, როდესაც დარწმუნდებით რომ მედიკამენტი სწორად გამოწერეთ, აჭერთ ღილაკს „დადასტურება“. სისტემა გამოიტანს ფანჯარას სათაურით „გთხოვთ გადაამოწმეთ მონაცემების სისწორე“ (იხილეთ ნიმუში 9). ფარმაცევტი ვალდებულია გადაამოწმოს მის მიერ გამოწერილი მედიკამენტის მახასიათებლები. თუ აღმოაჩინა რაიმე უზუსტობა, იგი აჭერს ღილაკს „უკან დაბრუნება“, და ჩაასწორებს ხარვეზს. როდესაც დარწმუნდება რომ სარეალიზაციო რეცეპტში ყველაფერი სწორადაა მითითებული, იგი აჭერს ხელს „დადასტურებას“ (ნიმუში 9).

ნიმუში 9: ფარმაცევტის მიერ გამოწერილი მედიკამენტის მონაცემების გადამოწმება

გთხოვთ გადაამოწმეთ მონაცემების სისწორე: ✕

გამოწერილი მედიკამენტი	Amoxicillin / Amoxycillin / 500 მგ კაფსულა N100 /
შესაძლებელია ჩანაცვლება	კი
გამოწერის ფორმა	მხოლოდ გენერიკი
გასაცემი მედიკამენტი	Amoxicillin / დურამოქსი 250 / Amoxycillin / 250 მგ კაფსულა N100
ნარჩენი რაოდენობა	28
გასაცემი რაოდენობა	8
გამოწერილი ფარმაცევტული პროდუქტის შესაბამისი რეალიზებულ რაოდენობა	4
დაბუსტებული მიღების წესი	მიიღეთ 2 კაფსულა ერთდროულად. დღეში 1-ჯერ ჭამის შემდეგ

დადასტურება

უკან დაბრუნება

შედეგად გენერირდება „ფარმაცევტული პროდუქტის გაცემის ფორმა“ PDF ფორმატით (იხილეთ ნიმუში 10), სადაც მითითებულია აფთიაქის საიდენტიფიკაციო კოდი,

დასახელება, მედიკამენტის გაცემის დრო, პაციენტის პერსონალური მონაცემები, რეცეპტის ნომერი, გაცემული მედიკამენტის დასახელება, რაოდენობა და ფარმაცევტის მიერ დაზუსტებული მედიკამენტის მიღების წესი.

აღნიშნული ფორმა წარმოადგენს მატერიალური რეცეპტის C (ცე) ნაწილის ალტერნატივას. სააფთიაქო დაწესებულება ვალდებულია შეინახოს აღნიშნული ფორმა ელექტრონულად, ან ამობეჭდოს და შეინახოს მატერიალური ფორმით.

გაცემის ფორმის გენერირება წარმოადგენს ელექტრონული რეცეპტის რეალიზაციის დამადასტურებელ საბუთს. ამ ფორმის გენერირებით სრულდება ელექტრონული რეცეპტის გაცემა. ელექტრონული რეცეპტის სისტემა გამოიტანს წარწერას „რეალიზაცია წარმატებით განხორციელდა“. ფარმაცევტი აჭერს დახურვის ღილაკს.

ნომერი 10: რეცეპტები: ფარმაცევტული პროდუქტის გაცემის ფორმა

ფარმაცევტული პროდუქტის გაცემის ფორმა

საიდენტიფიკაციო კოდი: 1111111111

27/07/2016 17:46:32

დასახელება: test

პაციენტი: 12345678901 , სახელი გვარი , 12/10/1911

რეცეპტი: F3E0000000552

გაცემული მედიკამენტი: Amoxicillin / დურამოქსი 250 / Amoxicillin / 250 მგ კაფსულა N100

გაცემული რაოდენობა: 8

მიღების წესი (დაზუსტებული): მიიღეთ 2 კაფსულა ერთდროულად. დღეში 1-ჯერ ჭამის შემდეგ

იმ შემთხვევაში როდესაც ფარმაცევტი ხედავს რომ ექიმის მიერ დანიშნული მედიკამენტი პაციენტისათვის არ არის შესაფერისი მისი დოზირების, ან პაციენტის ასაკის გამო, ფარმაცევტს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აქვს საშუალება მოახდინოს რეცეპტის გაუქმება. ამისათვის იგი დგება გასაუქმებელი რეცეპტის სტრიქონზე და აჭერს მაუსის მარჯვენა ღილაკს. შედეგად გამოდის ფანჯარა „რეცეპტის გაუქმება“ (ნომერი 11).

ნიმუში 11: რეცეპტები: ფარმაცევტული პროდუქტის გაცემის ფორმა

რეცეპტის ნომ.	გამონერის თარიღი	ვადა	მედიკამენტი	გამონერის რაოდ.	ნარჩენი რაოდ.	სტატუსი	გამონერის ფორმა	შესაძლებელია ჩანაცვლება	მიღების წესი	ფარმაცეპტული რეცეპტი	ჩვეულებრივი და გაცემის რეჟიმი
F3E10000042676	2017-12-18	2018-02-01	Amoxicillin / Amoxicillin / 500 მგ კაფსულა N100 /	28	24	აქტიური	მხოლოდ გეწერიკი	☑	1 ჯერ დღეში განს ჩუხვდ	ბება - ლატამური კლინიკური კონტროლის ჩატვდება	II ჩვეუი კაიდმა ფორმა ჩეკ რეცეპტი
F3E10000042624	2017-12-18	2017-12-23	Amoxicillin / Amoxicillin / 250 მგ კაფსულა N100 /	5	5	აქტიური	მხოლოდ გეწერიკი	☑	5	ბება - ლატამური კლინიკური კონტროლის ჩატვდება	II ჩვეუი კაიდმა ფორმა ჩეკ რეცეპტი
F3E10000042617	2017-12-18	2017-12-23	Amoxicillin / Amoxicillin / 125მგ/5მლ 60 მლ პერიორალური სუპენზიის მოსამადებელი ფუნქილი ფლაკონი N1 საბოი კონეი /	5	5	აქტიური	მხოლოდ გეწერიკი	☑	5	ბება - ლატამური კლინიკური კონტროლის ჩატვდება	II ჩვეუი კაიდმა ფორმა ჩეკ რეცეპტი
F3E10000042618	2017-12-18	2018-01-15	Amoxicillin / Amoxicillin / 125მგ/5მლ 60 მლ პერიორალური სუპენზიის მოსამადებელი ფუნქილი ფლაკონი N1 საბოი კონეი /	14	14	აქტიური	მხოლოდ გეწერიკი	☑	დიღმ 2-ჯერ განს ჩუხვდ	ბება - ლატამური კლინიკური კონტროლის ჩატვდება	II ჩვეუი კაიდმა ფორმა ჩეკ რეცეპტი

„რეცეპტის გაუქმება“-ზე დაჭერით გამოდის ფანჯარა, რომელიც ითხოვს რეცეპტის გაუქმების მიზეზის შეყვანას. ფარმაცეპტი ვალდებული შეავსოს აღნიშნული ველი.

3. წამლის საძიებელი

წამლის საძიებელი წარმოადგენს საქართველოში რეგისტრირებული მედიკამენტების სრულ ჩამონათვალს (იხილეთ ნიმუში 12). ფარმაცეპტი იყენებს წამლის საძიებელს მედიკამენტის შესახებ ინფორმაციის მოპოვების, მისი სხვა მედიკამენტთან შედარების ან მოცემული მედიკამენტის ალტერნატივების მოძიების მიზნით.

წამლის საძიებელი თვითოეულ საქართველოში რეგისტრირებულ მედიკამენტზე იძლევა შემდეგ ინფორმაციას:

1. სავაჭრო დასახელება ქართულად
2. სავაჭრო დასახელება ინგლისურად,
3. საერთაშორისო არაპატენტირებული დასახელება ანუ გენერიკი
4. ფორმა
5. აქტიური ნივთიერების სახელი ინგლისურად,
6. ფარმაცოლოგიური ჯგუფი,
7. პროდუქტის დეტალური აღწერილობა ქართულად
8. პროდუქტის დეტალური აღწერილობა ინგლისურად
9. პროდუქტის სახეობა, ანუ ტიპი
10. ATC კოდი

11. ჯგუფი და გაცემის რეჟიმი
12. მწარმოებელი
13. მწარმოებელი ქვეყანა
14. რეგისტრაციის ვადა
15. გაუქმების მიზეზი

ნიმუში 12: წამლის საძიებელი

რეცეპტი	წამლის საძიებელი	რეალიზაციის ისტორია	დახმარება	analytic 7777					
ნაწილი 1	2	3	4	5	...	1321	შემდეგი		ფაზა
სავაჭრო დასახელება(ქართ.)	სავაჭრო დასახელება(ინგ)	საერთ. არასპეციფიკ. დასახელება (ჯენერიკი)	აქტიური ნივთიერებები	ფარმაკოლოგიური ჯგუფი	პროდუქტის დეტალური აღწერილობა ქართულად	პროდუქტის დეტალური აღწერილობა ინგლისურად	პროდუქტის სახელი (ტიპი)	AtcCode	
ანემიის სადიაგნოსტიკო ტესტ-სისტემები	Test-systems for diagnosis of Anaemia			-			ტესტ-სისტემა		-
ანტიბიოტიკების მიმართ წარმოქმნილობის გამამკაცრებელი ტესტ-სისტემები	Test-systems for diagnosis of Antibiotic susceptibility	Test-System		ტესტ-სისტემა			ტესტ-სისტემა		-
1% ბრილიანტი მწვანე კანკარინი-ნილანტივი მწვანე	1% Brilliant green pencil-BRILLIANT GREEN	-	Viridis nitens	ინჰალაციური და ნეფროლოგიური ნივთიერებები	1% 5მლ პირფორმინი კანკარინი-ნილანტივი მწვანე	-	ანტიბიოტიკული და კალმირიზაციული ფარმაცეუტიკული პროდუქტი	D08AX	III კატეგორია
10ფე	10D	-	Glucose Anhydrous	სიმბოლო ნივთიერება და სპორული კვანძების	10გ/100მლ 500მლ გ.ს. სანდონი ხსნარი ფლასკაში 100მლ პლასტიკურ ბოლონეტში დლ.სილინი NET (სპრეილაინი მუფუნები)	10გ/100მლ 500მლ solution for i.v. infusion LAFE vial N11 (with primary package)	ანტიბიოტიკული და კალმირიზაციული ფარმაცეუტიკული პროდუქტი	B05CX01	III კატეგორია
131I-ნატიუმ-იოდიდი თაიროპის მკურნალობის კაფსულები	131I-Natrium-jodid ThyroTop kemény kapszula		Sodium iodide (131 I)	ფარისებრი ფრეზის დაავადებების დიაგნოსტიკის რადიოფარმაცეუტიკული პრეპარატი	740.00 (MBq) მუცხარეული აქტივობის ურთიბალი კაფსულა N1	740.00 (MBq) activity oral capsules #1	რადიოფარმაცეუტიკული პროდუქტი	V09FX03	III კატეგორია
131I-ნატიუმ-იოდიდი თაიროპის მკურნალობის კაფსულები	131I-Natrium-jodid ThyroTop kemény kapszula		Sodium iodide (131 I)	ფარისებრი ფრეზის დაავადებების დიაგნოსტიკის რადიოფარმაცეუტიკული პრეპარატი	370.00 (MBq) მუცხარეული აქტივობის ურთიბალი კაფსულა N1	370.00 (MBq) activity oral capsules #1	რადიოფარმაცეუტიკული პროდუქტი	V09FX03	III კატეგორია
131I-ნატიუმ-იოდიდი თაიროპის მკურნალობის კაფსულები	131I-Natrium-jodid ThyroTop kemény kapszula		Sodium iodide (131 I)	ფარისებრი ფრეზის დაავადებების დიაგნოსტიკის რადიოფარმაცეუტიკული პრეპარატი	3700.00 (MBq) მუცხარეული აქტივობის ურთიბალი კაფსულა N1	3700.00 (MBq) activity oral capsules #1	რადიოფარმაცეუტიკული პროდუქტი	V09FX03	III კატეგორია
131I-ნატიუმ-იოდიდი თაიროპის მკურნალობის კაფსულები	131I-Natrium-jodid ThyroTop kemény kapszula		Sodium iodide (131 I)	ფარისებრი ფრეზის დაავადებების დიაგნოსტიკის რადიოფარმაცეუტიკული პრეპარატი	1850.00 (MBq) მუცხარეული აქტივობის ურთიბალი კაფსულა N1	1850.00 (MBq) activity oral capsules #1	რადიოფარმაცეუტიკული პროდუქტი	V09FX03	III კატეგორია
131I-ნატიუმ-იოდიდი თაიროპის მკურნალობის კაფსულები	131I-Natrium-jodid ThyroTop kemény kapszula		Sodium iodide (131 I)	ფარისებრი ფრეზის დაავადებების დიაგნოსტიკის რადიოფარმაცეუტიკული პრეპარატი	185.00 (MBq) მუცხარეული აქტივობის ურთიბალი კაფსულა N1	-	რადიოფარმაცეუტიკული პროდუქტი	V09FX03	III კატეგორია
131I-ნატიუმ-იოდიდი თაიროპის 38-7400 MBq მკურნალობის კაფსულები	131I-Natrium-jodid ThyroTop 38-7400 MBq kemény kapszula		Sodium iodide (131I)	რადიოფარმაცეუტიკული თირკმლის მკურნალობის რეჟიმის 131I-ის ნაწილები	4440.00 (MBq) მუცხარეული აქტივობის ურთიბალი მკურნალობის კაფსულა N1	4440.00 (MBq) oral hard capsule with Mega Becquerel activity #1	ანტიბიოტიკული და კალმირიზაციული ფარმაცეუტიკული პროდუქტი	V10XA01	III კატეგორია

4. რეალიზაციის ისტორია

რეალიზაციის ისტორიაში მოცემულია სააფთიაქო დაწესებულების მიერ ელექტრონული წესით გამოწერილი მედიკამენტების რეალიზაციის შესახებ ჩანაწერები. რეალიზაციის ისტორიის ნახვა შესაძლებელია პერიოდის პერიოდის ან პაციენტების მიხედვით (ნიმუში 13). ასევე შესაძლებელია მონაცემთა ფილტრაცია პირადი ნომრითა და პერიოდით ერთდროულად.

ნიმუში 13: რეალიზაციის ისტორია

რეცეპტი	ნაშის საძიებელი	რეალიზაციის ისტორია	დახმარება	analytic							
პაციენტის პირადი ნომერი:	დას. თარიღი:	სახელი და გვარი:	პერიოდი:	21/06/2017 - დან 6 თვე							
ნინა	1	2	3	4	5	...	35	შეძებე			
რეცეპტის ნომ.	გაცემის თარიღი	გაცემული მედიკამენტი	გაცემული რაოდ.	შესაბამისი რეალიზებული რაოდენობა	პაციენტის პ/ნ	სახელი, გვარი დას. თარიღი	დარმ. პროდუქტის მიმღების პ/ნ	დამუშავებული მიღების წესი	გამოწერის თარიღი	ვადა	მედიკამენტი
F3E10000042676	2017-12-18 15:22:28	Amoxycillin / ფარამოქსი 500 / Amoxycillin / 500 მგ კაფსულა N100	4	8				მიიღეთ 2 კაფსულა ერთდროულად, დღეში 1-ჯერ კვამს შემდეგ	2017-12-18 15:10:26	2018-02-01	Amoxycillin / Amoxycillin / 500 მგ კაფსულა N10
F3E10000041380	2017-12-14 09:34:08	Clarithromycin / ლეკლიკლარი / Clarithromycin / 125მგ/ჩაბო 60მლ ზეგლი ი.გ. და ი.მ. საინჟექციო ხსნარის მოსამზადებელი კონსტრუქციის ფლაკონი №1 სახში კომბინ უნდად	3	3					2017-12-14 09:18:21	2018-12-30	მაგნეზილი / Nimesulide / 100მგ ხსნადი ტაბლეტი
F3E10000040299	2017-12-11 15:35:09	nimesulide / ნიმესლი / Nimesulide / 100მგ/2გ 2გ ვიტამინული მინი მოსაღები სუსპენზიის მოსამზადებელი კაბლეტი №15	1	1					2017-12-11 12:16:27	2018-01-10	nimesulide / ნიმესლი / Nimesulide
F3E10000039309	2017-12-14 11:16:53	Amoxycillin / ფარამოქსი / Amoxycillin / 125მგ/5მლ 60 მლ პერიორალური სუსპენზიის მოსამზადებელი ფუნქციონი ფლაკონი N1 სახში კომბინ	1	2				test	2017-12-07 15:27:47	2017-12-16	Amoxycillin / Amoxycillin / 125მგ/5მლ 60 მლ პერიორალური სუსპენზიის მოსამზადებელი ფუნქციონი ფლაკონი N1 სახში კომბინ
F3E10000038301	2017-12-05 11:52:33	საუ ეფებოქსონ ნატრიუმი საინჟექციო 1გ / Ceftriaxone Sodium / 1გ ფუნქციონი ი.გ. და ი.მ. საინჟექციო ხსნარის მოსამზადებელი მინი ფლაკონი №10	2	2					2017-12-05 11:33:31	2017-12-19	საუ ეფებოქსონ ნატრიუმი საინჟექციო 1გ / Ceftriaxone Sodium / 1გ ფუნქციონი ი.გ. და ი.მ. საინჟექციო ხსნარის მოსამზადებელი მინი ფლაკონი №10
F3E10000038301	2017-12-05 11:42:52	საუ ეფებოქსონ ნატრიუმი საინჟექციო 1გ / Ceftriaxone Sodium / 1გ ფუნქციონი ი.გ. და ი.მ. საინჟექციო ხსნარის მოსამზადებელი მინი ფლაკონი №10	3	6				გაბაკანბა	2017-12-05 11:33:31	2017-12-19	საუ ეფებოქსონ ნატრიუმი საინჟექციო 1გ / Ceftriaxone Sodium / 1გ ფუნქციონი ი.გ. და ი.მ. საინჟექციო ხსნარის მოსამზადებელი მინი ფლაკონი №10
F3E10000038301	2017-12-05 11:47:03	საუ ეფებოქსონ ნატრიუმი საინჟექციო 1გ / Ceftriaxone Sodium / 1გ ფუნქციონი ი.გ. და ი.მ. საინჟექციო ხსნარის მოსამზადებელი მინი ფლაკონი №10	5	5					2017-12-05 11:33:31	2017-12-19	საუ ეფებოქსონ ნატრიუმი საინჟექციო 1გ / Ceftriaxone Sodium / 1გ ფუნქციონი ი.გ. და ი.მ. საინჟექციო ხსნარის მოსამზადებელი მინი ფლაკონი №10
F3E10000034825	2017-11-24 09:49:34	comb. drug / პარეტი / Sofosbuvir / Ledipasvir / 90მგ/400მგ აკიტი შემოვარული ტაბლეტი №28	1998	1998					2017-11-22 16:19:55	2199-12-31	Metoprolol / ბეტალოკ ზოკი / Metoprolol succina 100მგ წელი გამოთავისუფლების ტაბლეტი №28
F3E10000034825	2017-11-22 17:50:16	comb. drug / პარეტი / Sofosbuvir / Ledipasvir / 90მგ/400მგ აკიტი შემოვარული ტაბლეტი №28	1	1					2017-11-22 16:19:55	2199-12-31	Metoprolol / ბეტალოკ ზოკი / Metoprolol succina 100მგ წელი გამოთავისუფლების ტაბლეტი №28
F3E10000034825	2017-11-24 09:41:18	Metronidazole / ფლორანე / 500მგ/100მლ 100მლ ი.გ. საინჟექციო ხსნარი ფლაკონი №1	1	1					2017-11-22 16:19:55	2199-12-31	Metoprolol / ბეტალოკ ზოკი / Metoprolol succina 100მგ წელი გამოთავისუფლების ტაბლეტი №28

„პერიოდის“ ველში კონკრეტული თარიღის მითითების შემდეგ, გამოვა მითითებული თარიღიდან დაწყებული, 6 თვის განმავლობაში განხორციელებული რეალიზაციების ისტორია.

რეალიზაციის ისტორიაში მოცემულია შემდეგი მონაცემები:

1. რეცეპტის ნომერი
2. გაცემის ტარილი
3. გაცემული მედიკამენტის დასახელება
4. გაცემული რაოდენობა
5. შესაბამისი რეალიზებული რაოდენობა
6. პაციენტის პირადი ნომერი
7. სახელი გვარი და დაბადების თარიღი
8. ფარმაცევტული პროდუქტის მიმღების პირადი ნომერი
9. დაზუსტებული მიღების წესი
10. გამოწერის თარიღი
11. მოქმედების ვადა
12. გამოწერილი მედიკამენტის დასახელება
13. გამოწერილი რაოდენობა
14. გამოწერის ფორმა
15. შესაძლებელია ცანაცვლება
16. მიღების წესი

- 17. ფარმაცოლოგიური ჯგუფი
- 18. ჯგუფი და გაცემის რეჟიმი
- 19. სტატუსი

ჩამონათვალი რეალიზებული მედიკამენტებიდან სასურველ გაცემულ მედიკამენტზე დადგომით და მასის მარჯვენა ღილაკზე დაჭერით გამოდის მენიუ, რომლითაც ფარმაცევტს შესაძლებლობა აქვს მოახდინოს მედიკამენტის გაცემის ფორმის ბეჭდვა და რეალიზაციის გაუქმება (ნიმუში 14). „გაცემის ფორმა“-ზე დაკლიკებით გამოდის ფარმაცევტული პროდუქტის გაცემის სტანდარტული ფორმა, ისე როგორც ეს ნიმუშ 10-ზეა მოცემული.

ნიმუში 14: რეალიზაციის ისტორია

რეცეპტები	ნაშლის საძიებელი	რეალიზაციის ისტორია	დახმარება	ანალიტიკა							
<p>პაციენტის პირადი ნომერი: <input type="text"/> დაბ. თარიღი: <input type="text"/> სახელი და გვარი: <input type="text"/> პერიოდი: 21/06/2017 - დან 6 თვე <input type="button" value="ძიება"/></p> <p>ნინა <input type="button" value="1"/> <input type="button" value="2"/> <input type="button" value="3"/> <input type="button" value="4"/> <input type="button" value="5"/> ... <input type="button" value="35"/> <input type="button" value="შემდეგი"/></p>											
რეცეპტის ნომ.	გაცემის თარიღი	გაცემული მედიკამენტი	გადმული რაოდ.	შესაბამისი რეალიზებული რაოდენობა	პაციენტის პ.ნ.	სახელი, გვარი დაბ. თარიღი	ფარმ. პროდუქტის მიმღების პ.ნ.	დამზდებელი მიმღების ნუსი	გამომწერის თარიღი	ვადა	მედიკამენტი
F3E10000042676	2017-12-18 15:22:28	Amoxycillin / ფარმაპენი 500 / Amoxycillin / 500 მგ კაფსულა N100	4	8	57001049675	შოთა გამბურძე 1989-12-14	57001049675	შოთა 2 კაფსულა ერთდროულად, დღეში 1-ჯერ განისაზღვრება	2017-12-18 15:10:26	2018-02-01	Amoxycillin / Amoxycillin / 500 მგ კაფსულა N100
F3E10000041380	2017-12-14 09:34:08	Clarithromycin / ლეტოკლარი / Clarithromycin / 125მგ/5მლ ნინესილი მინის ფლაკონი N1 საბინი კოფით	3	3	01004007839	რუსული მინის ფლაკონი 1983-12-21	1004007839		2017-12-14 09:18:21	2018-12-30	მაგნესილი / Nimesulide / 100მგ ხსნადი ტაბლეტი
F3E10000040299	2017-12-11 15:35:09	nimesulide / ნინესილი / Nimesulide / 100მგ/5მლ ნინესილი მინის ფლაკონი N15	1	1	01026012934	ერნესტი მანაშაძე 1986-06-27			2017-12-11 12:16:27	2018-01-10	nimesulide / ნინესილი / Nimesulide
F3E10000039309	2017-12-14 11:16:53	Amoxycillin / ფარმაპენი / Amoxycillin / 125მგ/5მლ 60 მლ პერიორული სუსპენზიის მოსამზადებელი ფუნქციონალი N1 საბინი კოფით	1	2	57001049675	შოთა გამბურძე 1989-12-14		test	2017-12-07 15:27:47	2017-12-16	Amoxycillin / Amoxycillin / 125მგ/5მლ 60 მლ პერიორული სუსპენზიის მოსამზადებელი ფუნქციონალი N1 საბინი კოფით /
F3E10000038301	2017-12-05 11:52:33	ავს ცეფტრიასონ ნარობის საინექციო 1გ / Ceftriaxone 500მგ / 1გ ფუნქციონალი ი.კ. და ი.მ. საინექციო ხსნარის მოსამზადებელ მინის ფლაკონი N10	2	2	01023011905	თონა ცრამე 1987-09-19			2017-12-05 11:33:31	2017-12-19	ავს ცეფტრიასონ ნარობის საინექციო 1გ / Ceftriaxone 500მგ / 1გ ფუნქციონალი ი.კ. და ი.მ. საინექციო ხსნარის მოსამზადებელ მინის ფლაკონი N10
F3E10000038301	2017-12-05 11:42:52	ავს ცეფტრიასონ ნარობის საინექციო 1გ / Ceftriaxone 500მგ / 1გ ფუნქციონალი ი.კ. და ი.მ. საინექციო ხსნარის მოსამზადებელ მინის ფლაკონი N10	3	6	01023011905	თონა ცრამე 1987-09-19	01002000142	კაპსულები	2017-12-05 11:33:31	2017-12-19	ავს ცეფტრიასონ ნარობის საინექციო 1გ / Ceftriaxone 500მგ / 1გ ფუნქციონალი ი.კ. და ი.მ. საინექციო ხსნარის მოსამზადებელ მინის ფლაკონი N10
F3E10000038301	2017-12-05 11:47:03	ავს ცეფტრიასონ ნარობის საინექციო 1გ / Ceftriaxone 500მგ / 1გ ფუნქციონალი ი.კ. და ი.მ. საინექციო ხსნარის მოსამზადებელ მინის ფლაკონი N10	5	5	01023011905	თონა ცრამე 1987-09-19			2017-12-05 11:33:31	2017-12-19	ავს ცეფტრიასონ ნარობის საინექციო 1გ / Ceftriaxone 500მგ / 1გ ფუნქციონალი ი.კ. და ი.მ. საინექციო ხსნარის მოსამზადებელ მინის ფლაკონი N10
F3E10000034825	2017-11-24 09:49:34	comb. drug / პარვიტი / Sofosbuvir Ledipasvir / 90მგ/40მგ აკუთი შემოვარული ტაბლეტი N28	1998	1998	01025012471	ლევან გარბანიძე 1951-08-02	1025012471		2017-11-22 16:19:55	2199-12-31	Metoprolol / ბეტალოლი ზოგი / Metoprolol succinate 100მგ ფული გამოთავისუფლების ტაბლეტი N28
F3E10000034825	2017-11-22 17:50:16	comb. drug / პარვიტი / Sofosbuvir Ledipasvir / 90მგ/40მგ აკუთი შემოვარული ტაბლეტი N28	1	1	01025012471	ლევან გარბანიძე 1951-08-02	01025012471		2017-11-22 16:19:55	2199-12-31	Metoprolol / ბეტალოლი ზოგი / Metoprolol succinate 100მგ ფული გამოთავისუფლების ტაბლეტი N28
F3E10000034825	2017-11-24 09:41:18	Metronidazole / ფლორიანი / 500მგ/100მლ 100მლ ი.კ. საინექციო ხსნარი ფლაკონი N1	1	1	01025012471	ლევან გარბანიძე 1951-08-02	1025012471		2017-11-22 16:19:55	2199-12-31	Metoprolol / ბეტალოლი ზოგი / Metoprolol succinate 100მგ ფული გამოთავისუფლების ტაბლეტი N28

„რეალიზაციის გაუქმება“ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ფარმაცევტმა დაუშვა მექანიკური შეცდომა და სურს მაშინვე გამოასწოროს იგი. აღნიშნული ფუნქციის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ გაცემიდან 3 საათის განმავლობაში. ასეთ ტექნიკური შეცდომების შემთხვევაში „რეალიზაციის გაუქმება“-ზე დაჭერით კი გამოდის ფანჯარა, რომელიც კითხულობს დარწმუნებული ხართ თუ არა რომ გინდათ რეალიზაციის გაუქმება. ბრძანების დადასტურებით მოხდება გაცემის გაუქმება. ხოლო თუ გაცემიდან 3 საათზე მეტია გასული, რეალიზაციის გაუქმება ვერ მოხდება.